მუშაობა დაასრულა კონფერენციამ, რომელიც მართლმადიდებლობაში პირველობისა და კრებსითობის საკითხს მიეძღვნა

2021 წლის 17 სექტემბერს მოსკოვში, ქრისტე მაცხოვრის საკათედრო ტაძრის სერგის დარბაზში მუშაობა დაასრულა საღვთისმეტყველო კონფერენციამ „მსოფლიო მართლმადიდებლობა: პირველობა და კრებსითობა მართლმადიდებლური სარწმუნოების სწავლების შუქზე“.

ფორუმის მეორე დღის პლენარული სხდომები ჩაატარეს მოსკოვის სასულიერო აკადემიის რექტორმა, ზვენიგოროდის ეპისკოპოსმა თეოდორიტემ; ეკლესიის ისტორიის დოქტორმა, თეოლოგიის დოქტორმა, მოსკოვის სასულიერო აკადემიის პროფესორმა, დეკანოზმა ვლადისლავ ციპინმა; მოსკოვის და სრულიად რუსეთის პატრიარქის წარმომადგენელმა ანტიოქიის საპატრიარქო ტახტთან, თეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, ზოგადასაეკლესიო ასპირანტურისა და დოქტურანტურის მთავარმა მეცნიერ-

თანამშრომელმა იღუმენმა არსენიმ (სოკოლოვი); თეოლოგიის დოქტორმა, სინოდალური მისიონერული დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, ეროვნული კვლევითი უნივერსიტეტის უმაღლესი ეკონომიკის სკოლის იურისპრუდენციისა და ადმინისტრირების უმაღლესი სკოლის დირექტორის მოადგილემ, იღუმენმა სერაპიონმა (მიტკო); ზოგადასაეკლესიო ასპირანტურისა და დოქტურანტურის პრორექტორმა მღვდელმონაზონმა პავლემ (ჩერქასოვი).

ღონისძიება შერეული ფორმატით მიმდინარეობდა – დასწრებითად და დისტანციური ჩართვითაც.

პირველად გაჟღერდა მოსკოვის სასულიერო აკადემიის რექტორის, ზვენიგოროდის ეპისკოპოსის თეოდორიტეს მოხსენება – „კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიერ ახლახანს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ სასულიერო პირების მეორე ქორწინების შესაძლებლობაზე“.

მოხსენებებით ასევე გამოვიდნენ: მოსკოვის სასულიერო აკადემიის პრორექტორი სამეცნიერო და საღვთისმეტყველო მუშაობის დარგში, დოცენტი დეკანოზი ალექსანდრე ზადორნოვი („ავტოკეფალიის“ გაგება მე–20 საუკუნის მოსკოვის სასულიერო აკადემიის კანონისტთა ნაშრომებში“); სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიის ასპირანტურის ხელმძღვანელი დ. ა. კარპუკი („კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ისტორიის შესწავლა პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე“); პეტერბურგის სასულიერო აკადემიის ლექტორი, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის კრებათაშორისი შეკრების წევრი, პროტოდიაკონი კონსტანტინე მარკოვიჩი („პატრიარქ დიონისეს სინოდალური ქარტიის ტექსტის ზოგიერთი კანონიკური ასპექტის შესახებ კიევის სამიტროპოლიტოს მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციაში გადაცემის შესახებ (1686) კონსტანტინეპოლის პატრიარქ ბართლომეოსის კიევში ვიზიტისას (2021 წლის 20-24 აგვისტო) გაკეთებული განცხადებების ჭრილში“. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ბიბლიური საღვთისმეტყველო სინოდალური კომისიის წევრი, დეკანოზი ანდრეი ნოვიკოვი („სასამართლო პრეცედენტები კონსტანტინოპოლის საყდრის აპელაციის უფლების პრეტენზიის საკითხიდან გამომდინარე: ქალკედონის კრება“); ეკლესიის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მსა-ს პროფესორი, დეკანოზი ვლადისლავ ციპინი („კონსტანტინეპოლის პატრიარქის, წმინდა ფოტიოსის ეკლესიოლოგიური შეხედულებები“); ეროვნული კვლევითი უნივერსიტეტის უმაღლესი ეკონომიკის სკოლის იურისპრუდენციისა და ადმინისტრირების უმაღლესი სკოლის სამართლისა და ადმინისტრირების უმაღლესი სკოლის ლექტორი, ზოგადსაეკლესიო ასპირანტურისა და დოქტორანტურის ლექტორი ე. ვ. სილვესტროვი („პირველობის გაგება ბიზანტიური კანონიკური ძეგლის „ისაგოგიკის“ ინტერპრეტაციაში“); მართლმადიდებლური წმინდა ტიხონის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის, სისტემური ღვთისმეტყველებისა და პატროლოგიის კათედრის ხელმძღვანელი გ.ე. ზახაროვი („პირველობა უძველეს ეკლესიაში: ისტორიული და ეკლესიოლოგიური განზოგადების გამოცდილება“); ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, სევასტოპოლის უნივერსიტეტის სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრის „დიდი ხმელთაშუა ზღვის“ დირექტორი პ. ვ. კუზენკოვი („საეკლესიო და პოლიტიკური პატივის პირველობის საფუძვლები. ისტორიული ანალიზი“); მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის შავი ზღვისა და ბიზანტიის ქვეყნების შესწავლის ლაბორატორიის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი მ. ვ. გრაციანსკი („პირველობის გაგება: ახალი ინტერპრეტაციული მიდგომები უახლესი კვლევების შუქზე“); მართლმადიდებლური წმინდა ტიხონის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის დოცენტი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, მღვდელი პავლე ერმილოვი („პირველობა, როგორც პოლიტიკური ინსტიტუტი“); ბიბლიური საღვთისმეტყველო სინოდალური კომისიის მეცნიერ-თანამშრომელი ა. ი. კირლეჟევი („კრებსითობა და კრებები, ავტოკეფალია და იურისდიქცია“); კიევის სასულიერო აკადემიის პრორექტორი სამეცნიერო-საღვთისმეტყველო მუშაობის დარგში პროფესორი ვ. ვ. ბურეგა

(„მართლმადიდებლური დიასპორის სტატუსის პრობლემა მიტროპოლიტ ევლოგის (გეორგიევსკის) მიმოწერაში კონსტანტინეპოლის პატრიარქებთან მელეტი IV-თან და გრიგოლ VII-თან“); რუსეთის სახელმწიფო არქივის უძველესი აქტების უნიკალური დოკუმენტების განყოფილების თანამშრომელი ა. გ. ბონდაჩი („აპელაციის უფლება“: კონსტანტინეპოლის ეკლესიის მომხრეთა სამართლებრივი პოზიცია და მისი კრიტიკის შესაძლო გზები“); მსა-ს პროფესორი იღუმენი დიონისე (შლენოვი) („ქალკედონის 28-ე კანონის გამოხატვა“ – „ἐν τοῖς βαρβαρικοῖς ...“ და მისი ინტერპრეტაციები“); ბიბლიური და საღვთისმეტყველო სინოდალური კომისიის წევრი ა. მ. მალერი („ფანარული პაპიზმის იდეოლოგია“); ტობოლსკის სასულიერო სემინარიის საღვთისმეტყველო კათედრის ხელმძღვანელი, კრებათაშორისი შეკრების წევრი, ღვთისმეტყველების კანდიდატი, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი დეკანოზი დიმიტრი კირიანოვი („ეკლესიის სამშენებლო მასალები? არქიმანდრიტ კირილ გოვორუნის ეკლესიოლოგიის კრიტიკა“).

კონფერენციის დისტანციურ მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ტალინისა და სრულიად ესტონეთის მიტროპოლიტმა ევგენიმ, ტობოლსკისა და ტიუმენის მიტროპოლიტმა დიმიტრიმ, ტამბოვისა და რასკაზოვსკის მიტროპოლიტმა თეოდოსიმ, ბელოცერსკოვისა და ბოგუსლავის მიტროპილიტმა ავგუსტინემ, ტულჩინისა და ბრაცლავის მიტროპოლიტმა იონათანმა, ბობრუისკისა და ბიხოვის ეპისკოპოსმა სერაფიმემ, ლონდონისა და დასავლეთ ევროპის ეპისკოპოსმა ირინეოსმა.

ფორუმის ორგანიზატორებად და პარტნიორებად, რომელიც 16-17 სექტემბერს გაიმართა, წარმოდგნენ ბიბლიური საღვთისმეტყელო სინოდალური კომისია, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილება, წმინდანთა კირილესა და მეთოდეს სახელობის ზოგადსაეკლესიო ასპირანტურა და

დოქტორანტურა. ღონისძიება ჩატარდა ქრისტიანული კულტურისა და მემკვიდრეობის მხარდამჭერი ფონდის მონაწილეობით.

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/88060/